

შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი

10 ოქტომბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის - ბატონ დავით დარჩიას სახით, ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქუჩა №1 (შემდგომში „დამსაქმებელი“) და

მეორეს მხრივ, მოქალაქე ნარი მუჯირი პ/633001068264 მცხოვრები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კონჭკათში, შემდგომში („დასაქმებული“) ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი

დამსაქმებელს აყავს დასაქმებული (შტატგარეშე მოსამსახურედ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის ექსპერტ-კონსულტანტად.

2. სამუშაო დროს ხანგრძლივობა და ღირებულება

2.1. დასაქმებულის სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც იგი ვალდებულია, განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობანი;

2.2. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება ყოველთვიურად 650 (ექვსას ორმოცდათი) ლარით;

2.3 ხელფასის გაცემა ხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დამსაქმებლის ვალდებულებები.

3.1. უზრუნველყოს დასაქმებული შრომის სათანადო და უსაფრთხო პირობებით;

3.2. გადაუხადოს დასაქმებულს ხელფასი შეთანხმებული ოდენობით;

3.3 დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში დააყენოს საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4. დასაქმებულის ვალდებულებები

4.1 დაიცვას დაწესებულებაში არსებული შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

- 4.2 შეასრულოს თავისი სამუშაო მაღალკვალიფიციურად;
- 4.3 მოსთხოვოს დამსაქმებელს შრომის ჯანსაღი პირობების შექმნა;
- 4.4 მოსთხოვოს დამსაქმებელს შრომის ანაზღაურება შეთანხმებული ოდენობით;
- 4.5 დამსაქმებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში დააყენოს საკითხი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 10 ოქტომბრიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ იგი შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

6. ხელშეკრულების მოქმედება. დავის გადაწყვეტის წესი.

6.1. ხელშეკრულების მოქმედების პირობების შეცვლა ან შეწყვეტა მოხდება მხარეთა შეთანხმებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და იგი რჩება მხარეებთან;

6.4. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ;

6.5 ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად.

დამსაქმებელი
დ. დარჩია

დასაქმებული

ნ. მუჯირი